სამოქალაქო იდეა

# 17-20 აგვისტო, 2020 ბათუმი

# გაიგე მეტი ან იქნები შემდეგი

ინტენსიური სასწავლო კურსი #1 ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტებისა & ახალგაზრდა მკვლევარებისთვის

https://civicidea.ge

https://virtualdemacademy.com

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

17-20 აგვისტო, 2020
ბათუმი

# დღის წესრიგი

https://civicidea.ge
https://virtualdemacademy.com

# დღის წესრიგი

17 აგვისტო

**10:00**

მონაწილეების გამოგზავრენა
თბილისიდან / ქუთაისიდან / სამტრედიიდან

**12:30 - 14:30**

მონაწილეების ჩამოსვლა ბათუმში
განთავსება / ლანჩი

**16:00**

კონფერენციის გახსნა და
მისალმება

კონფერენციის დღის წესრიგისა და
მიზნების გაცნობა / დისკუსია

სამუშაო თემების,
მონაწილეების & სპიკერების
გაცნობა

სამუშაო ჯგუფების ფორმირება

თინათინ ხიდაშელი
სამოქალაქო იდეას თავმჯდომარე

**18:00**

I სამუშაო დღის დასასრული

# დღის წესრიგი

18 აგვისტო

**10:00**

გავლენის ოპერაციების ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი ნიშნულები - რას უნდა მივაქციოთ ყურადღება – კოროზიული კაპიტალი, საინფორმაციო ომი, რბილი ძალა, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?

**თინათინ ხიდაშელი**
**სამოქალაქო იდეას თავმჯდომარე**

**11:00**

უცხოური გავლენების ოპერაციები საქართველოს და ბალკანეთის ქვეყნების მაგალითების გაცნობა

**მარტინა ჰრვოლოვა, CIPE (ვიდეო მიმართვა)**
**ანი კინწურაშვილი**
**სამოქალაქო იდეას მკვლევარი**

**12:30**

**ლანჩის შესვენება**

**14:00**

მედეგობა დეზინფორმაციის ნაკადების დროს – ფაქტების შემოწმება, ყალბი ამბების გარჩევის ტექნოლოგიური საშუალებები? ტროლები და ბოტები სოციალურ მედიაში, გეოლოკაცია

**სოფო გელავა**
**მედიის განვითარების ფონდი**

**16:00**

ყავის შესვენება

**16:15**

გაგრძელება
პრაქტიკული სამუშაო
(5 სამუშაო ჯგუფი)

**20:00**

სამუშაო ვახშამი

# დღის წესრიგი

19 აგვისტო

**10:00**

“რბილი ძალა” – დეფინიციები, ტიპები, რბილი VS ხისტი ძალა

**ტაუნო ტოკი, EEAS (ვიდეო მიმართვა)**
**გვანცა აბდალაძე, სამოქალაქო იდეას ექსპერტი, საბაუნი, პროფესორი**
**ქრისტოფერ ვოკერი, NED (ვიდეო მიმართვა)**

**12:00**

გაგრძელება
პრაქტიკული სამუშაო
(5 სამუშაო ჯგუფი)

**13:00**

**ლანჩის შესვენება**

**14:30**

“შესავალი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში” – ისტორია, მიზანი, მეთოდოლოგია, ქართული გამოცდილება, ინტერვიუს რაობა - რამდენი სახის? მსხვერპლი თუ ჯალათი? ანტაგონისტი და პროტაგონისტი? გმირი?

**ნინო ზურიაშვილი, სტუდია მონიტორი**
**ნანა ბიგანიშვილი, სტუდია მონიტორი**

**16:00**

ყავის შესვენება

**4:15**

სესიის გაგრძელება
თემის მოძიება და იდენტიფიკაცია, კვლევა / მონაცემთა ბაზები

**5:30**

პრაქტიკული სამუშაო
(5 სამუშაო ჯგუფი)

**20:00**

სამუშაო ვახშამი

# დღის წესრიგი

20 აგვისტო

**10:00**

მონაწილეთა პრეზენტაციების წარდგენა

ლელა ჯავახიშვილი
ავთო დოლიძე
ლელა გოგიჩაიშვილი

**სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის თავმჯდომარე**

**12:00**

სტრატეგიული კომუნიკაციების როლი თანამედროვე საზოგადოებაში

**გიორგი მოლოდინი**
**სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის თავმჯდომარე**

**14:00**

**ლანჩი**
**ჯგუფური ფოტო**

**15:30**

ჟურნალისტური საქმიანობა ომის გაშუქებისას

**გიორგი კანაშვილი**
**სამოქალაქო იდეას უფროსი მკვლევარი**

**18:00**

კონფერენციის დასასრული
მონაწილეთა ნაწილის გამგზავრება ქუთაისი / სამგტრედია

17-20 აგვისტო, 2020
ბათუმი


სამოქალაქო
იდეა

# განსახილველი თემები

https://civicidea.ge
https://virtualdemacademy.com

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის




### რატომ ჩინეთი?

- კვლევის სიმწირე საქა-რთველოში, კვლევით და სადამკვირვებლო ორგანიზაციებში;
- რუსეთის გავლენის ოპერაციების პრიორიტეტი;
- ჩინეთის მზარდი პო-ლიტიკურ-ეკონომიკური გავლენები და მასთან დაკავშირებული რისკები.

### დოკუმენტი #9: ძირითადი გზავნილები

- მმართველობის როლის გაძლიერება იდეოლოგიურ სფეროში.
- პარტიის წევრებისა და ლიდერებისათვის მითითებების მიცემა, რათა შეძლონ ჭეშმარიტი და ყალბი თეორიების გარჩევა.
- პარტიის მიერ მედიაკონტროლის განხორციელების პრინციპის უპირობო ერთგულება.
- იდეოლოგიური ბრძოლის ველის ფუნდამენტური და განგრძობითი ორგანიზება

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის

### ჩინეთის გავლენების ზრდა აკადემიურ სფეროში

- სახელმწიფოს დაფინანსებული პროგრამები,
- უნივერსიტეტების კერძო ინიციატივები,
- კვლევითი და სამეცნიერო ფონდები,
- ენის შემსწავლელი კლასები, მათ შორის დაწყებით სკოლაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით,
- კონფუცის ინსტიტუტები და სხვა საგანმანათლებლო ცენტრი
- მედიასაშუალებების მხარდაჭერა,
- სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერა და სხვა.




### ძირითადი განსხვავებები აშშ/ევროკავშირსა & ჩინეთის აკადემიურ პროგრამებს შორის?

**<u>აშშ/ევროკავშირი</u>**

- სტუდენტებს იწვევს თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში;
- სთავაზობს შეუზღუდავ, პოლიტიკური პარტიის ჩარევები-სა და გავლენებისაგან თავისუფალ სასწავლო გარემოს;
- სრულიად გამჭვირვალე და ღიაა კრიტიკული / განსხვავებული შეხედებულებე-

**<u>ჩინეთი</u>**

- მართულია კომუნისტური პარტიის დანაყოფების მიერ;
- მკაცრად სტრუქტურირებულია და იდეოლოგიურ ცენზურას ექვემდებარება;
- გამორიცხავს აკადემიური თავისუფლების უზენაესობის იმ სტანდარტს, რომელსაც თანამედროვე საგანმანათ-

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის

### მაგალითები:

1. 2019 წლის ნოემბერში, ევროპულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრაღის „კარლის უნივერსიტეტი“ გაეხვა სკანდალში „ჩინეთის მხრიდან მისი ფაკულტეტის ოთხი წევრისადმი განხორციელებული ფარული ფულადი გადარიცხვების გამო.
2. 2020 წლის თებერვალში ესტონურმა გაზეთმა EESTI EKSPRESS გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აცხადებდა, რომ ტარტუს უნივერსიტეტმა(მასსა და HUAWEI-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის გამო) ერთ-ერთ ჟურნალისტს აუკრძალა სტატიის გამოქვეყნება HUAWEI-ს შესახებ.

### რატომ საქართველო?




1. საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფია (BRI)
2. სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის

### ჩინეთის ინიციატივები ქართველი სტუდენტებისთვის

1. სახელმწიფო ინიციატივები (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულება - სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუნდენტებისთვის, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მკვლევარებისთვის);



2. ,,კერძო" ინიციატივები (კონფუცის ინსტიტუტი - ერთწლიანი ენის პროგრამები, იუნესკო/ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი პროგრამა „დიდი კედელი“, ინიციატივა "საქართველოსა და ჩინეთის ვარსკვლავი", ჩეხეთის, მასარიკის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, ჩინეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ეროვნული ფონდისა და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სიმპოზიუმის ,,მეცნიერება-ტალანტი-მომავლი"-ს სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწირებული ინიციატივები;
3. უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ორმხრივი პარტნიორობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი & BEIJING INSTITUTE OF TECHNOLOGY (BIT), PEKING UNIVERSITY.

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის

## კონფუცის ინსტიტუტი

კონფუცის ინსტიტუტები საქართველოში:

1. თავისუფალი უნივერსიტეტი;
2. თბილისის ღია უნივერსიტეტი;
3. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი ოფიციალურად კონფუცის ინსტიტუტის სახელით არ ფუნქციონირებს, თუმცა ამ დაწესებულებებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე 2017 წლიდან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უფასოდ გაიარონ ჩინური ენის კურსები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაარსა 516 კონფუცის ინსტიტუტი მსოფლიოს 142 ქვეყანაში.

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სამოქალაქო იდეა -ს სესიისთვის

### ჩინეთის გავლენის ოპერაციები მედიაში, ნარატივების კონტროლი

- ,,ZOOM-მა ჩინეთის მთავრობის მიერ კომპანიას-თან გაგზავნილი წერილის საფუძველზე ჩინელ-ამერიკელი სამოქალაქო აქტივისტის ჟო ფენგსუოს ანგარიში დახურა იმის გამო, რომ მან ორგანიზება გაუწია 1989 წლის ტიანანმენის მოედანზე ხოცვა-ჟლეტის ვირტუალური ხსენების ღონისძიებას.
- ZOOM-მდე ერთი წლით ადრე, LINKEDIN დაბლოკა იმავე ჟო-ს ანგარიში, რათა ის ჩინეთში ვერ ენახათ. თავად ჟოს შეტყობინებაში აცნობეს, რომ ეს „კონკრეტული შინაარსის მატარებელი კონტენტის“ გამო მოხდა.

### ჩინეთის გავლენა ქართულ მედიაზე: 4U და "GBTIMES პლატფორმა: BRINGING CHINA CLOSER"

4U პლატფორმა ფუნქციონირებს ოთხ: GEO, ENG, RU & CH ენებზე. მას 3 პარტნიორი რადიო ჰყავს, ესენია: JAKO FM, LIFE FM და შოკოლადი. დაახლოებით ერთი წლის წინ, 4U-მ დაიწყო ყოველდღიური პროგრამა სახელწოდებით „აღმოაჩინე ჩინეთი".




17-20 აგვისტო

# ჩანაწერები

# განსახილველი თემები

## სოფო გელავას სესიისთვის:















17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სოფო გელავას სესიისთვის:











17–20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## სოფო გელავას სესიისთვის:














17–20 ივისტო

# ჩანაწერები

# განსახილველი თემები

## გვანცა აბდალაძის სესიისთვის:

დავალება 1

დააჯგუფე ჩამოთვლილი ტერმინები და აჩვენე ურთიერთკავშირი

ნორმატიული ძალა

სახალხო დიპლომატია

სტრატეგიული კომუნიკაცია

კულტურული დიპლომატია

ახალი დიპლომატია

ნელი ინფორმაცია

სწრაფი ინფორმაცია

ბასრი ძალა

ტეტ ა ტეტ კომუნიკაცია

ფსიქოლოგიური ოპერაციები

ჭკვიანი ძალა

ციფრული რევოლუცია

ტელე-რადიო




მაუწყებლობა

კინემატოგრაფია

ხელოვნება

ხელოვნებისთვის

დეზინფორმაცია

ძალის დიფუზია

ხელოვნება ხალხისთვის

ფიარი

რბილი ძალა

ყოველდღიური კომუნიკაცია

გრძელვადიანი კომუნიკაცია

კულტურული ფილტრი

ზიარი ღირებულებები

ხისტი ძალა

პროპაგანდა

**გამოყენებული ფოტო:** The New Age of Social Media Diplomacy, A Hard Look at Soft Power: Global Public Diplomacy.
http://publicdiplomacysummer2012au.blogspot.com/2012/05/new-age-of-social-media-diplomacy.html


17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## გვანცა აბდალაძის სესიისთვის:

სამოქალაქო იდეა
ტრენერი: გვანცა აბდალაძე

დავალება 2
განსაზღვრე რბილი ძალის გამავრცელებელი, მიზანი და სამიზნე ჯგუფი, შეავსე პირამიდა:




17-20 აგვისტო


# განსახილველი თემები

## გვანცა აბდალაძის სესიისთვის:

სამოქალაქო იდეა
ტრენერი: გვანცა აბდალაძე

დავალება 3

განსაზღვრე ბასრი ძალის გამავრცელებელი, მიზანი და სამიზნე ჯგუფი, შეავსე პირამიდა:




17–20 აგვისტო

# განსახილველი თემები

**გვანცა აბდალაძის სესიისთვის:**

## დავალება 4

-- ჩამოწერე ბასრი ძალის ზეგავლენის შემცირების მექანიზმები.
-- იმსჯელე, რომელი მათგანის გააქტიურებას დაუჭერ მხარს საქართველოში და რატომ.

17-20 აგვისტო


# განსახილველი თემები

## გვანცა აბდალაძის სესიისთვის:

სამოქალაქო იდეა
ტრენერი: გვანცა აბდალაძე

დავალება 5

შეავსე სქემა „რბილი ძალა vs. კულტურული დიპლომატია“:




წყარო: The art of soft power. A study of cultural diplomacy at the UN Office in Geneva. King's College London. 2017.
https://www.kcl.ac.uk/archive/cultural/documents/theartofsoftpower-v1-web.pdf

# ჩანაწერები

# განსახილველი თემები

**ნინო ზურიაშვილის და ნანა ბიგანიშვილის სესიისთვის:**

## ჟურნალისტური გამოძიების მაგალითები:

1. "დენის იმპორტის გასაიდუმლოებული სქემა "
2. "სისხლის გადასხმა --ხსნა თუ საფრთხე
3. "პარტნიორობა ქართულად "
4. " უფასო ფული მილიონერებისათვის"
5. "BP -ის ნავთობის პრივილეგირებული ქურდები"

## გამოძიების მიზანი

- **მხილება**
- **საზოგადოებრივი აზრის ფორმირება**
- **ცვლილება ანუ პროგრესის**

## თემის მოძიება

- **აქტუალური საკითხი**
- **კონკრეტული ინტერესის ფიზიკური პირები**
- **ინსტიტუცია / დაწესებულება**
- **საიდან მოდის თემა?**

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

**ნინო ზურიაშვილის და ნანა ბიგანიშვილის სესიისთვის:**

## გამოძიების ეტაპები და მეთოდები

- მოკვლევა
- წარმოება
- სცენარი & მონტაჟი
- FOLLOW UP

## ინტერვიუს ტიპები

- მთხრობელის მონაყოლი
- პერსონების 4 ჯგუფი: ანტაგონისტი, პროტაგონისტი, მოწმე, ექსპერტი
- კამუფლიაჟი
- დორსთეფი (თავდასხმა)
- ფარული ჩანაწერი და ეთიკური დილემა

## გამოძიების გეგმა

- ბულეტები ანუ ქვეთემები
- პერსონების სია
- კითხვები თითოეულ პერსონასთან

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

ნინო ზურიაშვილის და ნანა ბიგანიშვილის სესიისთვის:

## მონაცემთა ბაზების გამოყენება

- საჯარო რეესტრი - HTTPS://WWW.NAPR.GOV.GE/
- ცესკოს ამომომრჩეველთა ბაზა - HTTPS://VOTERS.CEC.GOV.GE/
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - HTTP://PROCUREMENT.GOV.GE/
- HTTPS://WWW.COMPANYINFO.GE/
- TENDERMONITOR.GE
- შემომწირველები TRANSPARENCY.GE/POLITICALDONATIONS
- დეკლარაციები - HTTPS://DECLARATION.GOV.GE/
- თბილისის მერიის ერთიანი რუკა - HTTP://MAPS.TBILISI.GOV.GE/#/C=44.7807474-41.7138468@Z=14
- ბიუჯეტის მონიტორინგი - BUDGETMONITOR.GE/KA/BUDGET?FBCLID=IWAR0XXVMB95G1QCS0AS-CMWXEMFGVDR162FEAMPBXOO14ZSGRLQFXKT_4TW0
- ჯეოსტატი -HTTPS://WWW.GEOSTAT.GE/KA
- რეპორტალი - HTTPS://REPORTAL.GE/BANNERSMENU/DETAILED-SEARCH-FOR-REPORTS.ASPX
- HTTPS://OFFSHORELEAKS.ICIJ.ORG/
- OCCRP ALEP -HTTPS://ALEPH.OCCRP.ORG/

17-20 აგვისტო

# ჩანაწერები

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

ინტერნეტი:

1. იაფია;
2. საყოველთაოა;
3. დემოკრატიულია;
4. გაზომვადია;
5. ინტერაქტიულია;

„მესამე ტალღის დრო - ინფორმაციული რევოლუციის დრო დგება, რომელიც ცხოვრების ახალ წესს მოასწავებს“.

ელვინ ტოფლერი, ინოვაციის სამი ტალღის შესახებ (1970)

**ინტერნეტმა გააჩინა ახალი შესაძლებლობები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში**

ინტერნეტის წყალობით სახელმწიფოებს მიეცათ შესაძლებლობა ესაუბრონ ერთმანეთის მოსახლეობას შუამავლების გარეშე:


1. ციფრული ტექნოლოგიებისა, &
2. საინფორმაციო ომების აყვავების ხანა;

17-20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:




### ყოველ 1 წუთში

**1 მლნ ადამიანი აკეთებს ფბ ავტორიზაციას;**

**18.1 მლნ ტექსტუალური გზავნილი იწერება;**

**4.5 მლნ ვიდეო ნახვა ფიქსირდება;**

**390.030 აპლიკაციის ჩამოწერა ხდება;**

**347.222 ადამიანი „სქროლავს“ ინსტაგრამს;**

**87.500 „ტვიტი“ იწერება;**

**188 მილიონი ელ-ფოსტა იგზავნება;**

4.8 მილიონი „გიფია“ გამოყენებული;

**41.6 მლნ მესიჯი იწერება WHATSAPP-სა და MESSANGER-ში**

**996.956 დოლარი იხარჯება ონლიან-შესყიდვებზე;**

**694.444 საათი/ყურება ფიქსირდება NETFLIX - ზე;**

**3.8 მილიონი ძებნის ოპერაცია ხორციელდება GOOGLE - ის საძიებო სისტემაში**

**1.ერთი დღის განმავლობაში იმდენ ინფორმაციას მოვიხმართ ვიდრე ადამიანები მე-15 საუკუნეში მთელი ცხოვრების მანძილზე;**

**2. MARTINHILBERT.NET მიხედვით, 1986 წელს ადამიანი დღეში იმდენ ინფორმაციას იღებდა, რომლის განთავსებაც 40 გაზეთში იყო შესაძლებელი. 2007 წლისთვის კი ყოველდღიურად მიღებული ინფორმაციის რაოდენობა 174 გაზეთში ეტეოდა;**

17-20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

- ინტერნეტმა გაამძაფრა განცდა, რომ ნებისმიერი „ინფორმაცია“ ყველასთვის თავისუფალი და თანაბარმნიშვნელოვანი შეიძლება იყოს;

- მოქალაქეები სულ უფრო მარტივად ურთიერთობენ ერთმანეთთან და ამ ურთიერთობებით მხარს უჭერენ/ აძლიერებენ ოდესღაც მარგინალიზებულ ჯგუფებს, რათა მათი „ხმა“ სოციალურ ძალად აქციონ;

- ტექნოლოგიურმა პროგრესმა დაანაწევრა აუდიტორია და ანონიმური მომხმარებლების მიერ მცდარი ინფორმაციის სულ უფრო დიდი სისწრაფითა და მასშტაბებით გავრცელების შესაძლებლობები გააჩინა;

- ინტერნეტმა დაასუსტა სამთავრობო კონტროლი „სიმართლეზე“. შესაბამისად, დღეს მთავრობა უფრო „ნაკლები ავტორიტეტია“ მოქალაქეებისთვის;

- 24/7/365 ინტერნეტ-კომუნიკაციის ციკლი მთავრობებს აიძულებს პერმანენტული კამპანიის რეჟიმში იმუშაონ;

- მოქალაქეები, როდესაც ფიქრობენ რომ მთავრობას მათი „ხმა აღარ ესმის“ და ხელისუფალთა მხრიდან არასათანადო სამთავრობო კომუნიკაციის მსხვერპლები არიან, ინტერნეტი არის ალტერნატიული კომუნიკაციის/ არჩევანის წყარო.

- ინტერნეტი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თანამოაზრეები და მხარდამჭერები ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მსგავსი წარმატებით ეძებოს;

- ინტერნეტ-ტექნოლოგიები სხვადასხვა ალგორითმების საშუალებით მოქალაქეებს თავიანთი პოზიციების, ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების ჯეროვან ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს სთავაზობს; რაც ხშირად მთავრობებისთვის დამატებითი თავისტკივილია;

- პოლიტიკოსებსა და ზოგადად, აზრის ლიდერებს, სოციალურმა ქსელებმა მხარდამჭერებთან პირდაპირი, უწყვეტი და ოპერატიული კომუნიკაციის საშუალება მისცა. ამ ტიპის კომუნიკაციის გზაზე არ არსებობს ე.წ. „ფილტრები“;

17-20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

### ადამიანი მიდრეკილია შეცდეს...
(სავარჯიშო ტყუილია / მართალია)

**1**




ცნობილი და აწ უკვე გარდაცვლილი რეპერის, თუფაქ შაკურის მეგობრებმა მისი ფერფლი მარიხუანასთან ერთად მოწიეს. შაკური 1996 წელს ქალიფორნიაში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა.

**2**




ცნობილი ფიზიკოს-თეორიტიკოსი ალბერტ აინშტაინი შეიძლება ისრაელის პრეზიდენტი გამხდარიყო. მას ეს პოზიცია თავის დროზე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეთავაზა, თუმცა მეცნიერისგან უარი მიიღო.

**3**




ჩინეთის კედელი ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე დიდი ქმნილება არ არის. ტყუილი და თუ მართალი?

**4**




ბერინგის სრუტეში, ჩუკოტკასა და ალასკის შორის ორი კუნძულია, რომელთაც დიომედის კუნძულებს უწოდებენ. თუ თქვენ დიდ დიომედეს კუნძულზე დადგებით და და პატარა დიომედეს გახედავთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ მომავალში იყურებით. ანუ, დედამიწაზე დროში მოგზაურობა შესაძლებელია.

17–20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

### კოგნიტური მიკერძოებები
### COGNITIVE BIASES

**CONCISION BIAS**

ადამიანი მიდრეკილია წინასწარი განზრახულობით, შერჩევით ფოკუსირდეს კონკრეტულ ინფორმაციაზე და მხედველობიდან დაკარგოს ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსები. ადამიანი ფოკუსირდება მარტივ და ადვილად აღქმად ინფორმაციაზე და მხედველობიდან კარგავს რთულ და ანალიტიკურ არგუმენტებს.




**EXERCISE:**
To demonstrate and highlight how easily we often ignore information that is clearly right in front of us.

**დანინგ–კრუგერის ეფექტი**

კოგნიტური ტენდენცია, როდესაც არაკვალიფიციური ადამიანები განიცდიან მოჩვენებით უპირატესობას სხვათა მიმართ, არასწორად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს და საკუთარ თავს ანიჭებენ საშუალოზე ბევრად უფრო მაღალ დონეს.

17–20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

| კოგნიტური მიკერძოებები<br>COGNITIVE BIASES | |
|---|---|
| CONFIRMATION BIAS | ადამიანი მიდრეკილია მიზანმიმართულად ეძებოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მის წინარე ხედვებსა და რწმენებს გააძლიერებს |
| DECLINISM | ადამიანებს სჯერათ რომ წარსული იყო აწმყო უკეთესი და ფიქრობენ, რომ მომავალიც ვერასდროს იქნება უკეთესი. 24 საათიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ნეგატივითაცაა დახუნძლული აიძულებს ადამიანებს შევიდნენ შეცდომაში. |

**"რა ქვეყანა დაანგრიეს, 37 მანეთად ...."**

| | |
|---|---|
| IN-GROUP BIAS | ადამიანები ხშირად მიდრეკილნი არიან მხარი დაუჭირონ მათ, რომლებსაც ისინი თავიანთი „გუნდის“ წევრებად მიიჩნევენ. |

17-20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

### ჭორები

ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების დონის მიხედვით, ჭორები იყოფა შემდეგნაირად:

- საზოგადოებრივი აზრის გამაღიზიანებელი. მას არ მოსდევს მასობრივი ან ინდივიდუალური ანტისაზოგადოებრივი მოქმედება;
- კონკრეტული სოციალური ჯგუფების ნაწილში, ანტისაზოგადოებრივი ქცევის გამომწვევი;
- სოციალური კავშირებისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების დამრღვევი, რომელიც იწვევს მასობრივ არეულობებს, პანიკას

17-20 აგვისტო

USAID

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

## რა არის დეზინფორმაცია?

რა არის დეზინფორმაცია?

დეზინფორმაცია ეს არის მცდარი ან/და მანიპულაციური ინფორმაციის მიზანმიმართული შექმნა და გავრცელება, რომლის მიზანია სამიზნე აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა მისთვის რაიმე ზიანის მიყენების ან, პოლიტიკური, პირადი და ფინანსური მოგების მიზნით.


### Mis-Information

მცდარი ამბავი, რომლის გავრცელებისას თუ შექმნისას ჩანაფიქრში არ ყოფილა ადამიანების შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა „სიკეთეების“ მიღების მიზნით;

### Mal-Information

ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა სიმართლეს, მაგრამ მისი გავრცელება „აგენტის“ მიერ მიზანმიმართულად ხორციელდება ორგანიზაციის ან ინდივიდის წინააღმდეგ, ზიანის მიყენების მიზნით




17-20 აგვისტო


# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

## დეზინფორმაციის ტექნიკები და მაგალითები

LAUNDERING

ინფორმაციის გათეთრების პროცესი, როდესაც პროპაგანდისტი მიზანმიმართულად დამახინჯებულ ინფორმაციას სინამდვილედ ასაღებს. ამისთვის, ის ქმნის ყალბ საკომუნიკაციო არხებს და ინფორმაციას რეფერირებას უკეთებს ყალბ წყაროებზე, მანამ სანამ ინფორმაციის გაზიარება ლეგიტიმური წყაროების მიერ არ დაიწყება და გზავნილი არ გახდება პოპულარული სამიზნე აუდიორიაში.





(P) - Propagandist

(P1) - Deflective source

(M) - Apparent source of the message

(R) - The receiver






პროპაგანდისტი საიდუმლოთ განათავსებს ორიგინალ გზავნილს (M1) ლეგიტიმურ წყაროში (P2). ეს გზავნილი, რომელიც უკვე მოგვევლინა, როგორც M2, ინტერპრეტირებულია P2 ის მიერ და ათვისებულია, აღებულია პროპაგანდისტის მიერ (P). ამის შემდეგ, ამ გზავნილს, პროპაგანდისტი აწვდის მიმღებს (R) უკვე, როგორც M3, რომელიც მოდის P2-სგან. აღნიშნული სქემა მესიჯის ლეგიტიმაციას ახდენს იმავდროულად, მაქსიმალურ დისტანცირებას უკეთებას P-სგან, როგორც გზავნილის ავტორს.

17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:




**დაიცავი საქართველო საინფორმაციო ომში**

„საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი" აერთიანებს საქართველოს ყველა მოქალაქეს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონის თითოეული წევრი...

infoarmy.ge / CIRCLE.ge

**მეტი ინფორმაციისთვის გვეწვიეთ**

**WWW.INFOARMY.GE**


17-20 აგვისტო

# განსახილველი თემები

## გიორგი მოლოდინის სესიისთვის:

## როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა

### რუსული პროპაგანდა სწრაფი, უწყვეტი და განმეორებადია:




- ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ადასტურებს, რომ პირველი ინფორმაციის / შეტ-ყობინების მედეგობა მაღა-ლია. ის 'იჭედება' ჩვენს ქვე-ცნობიერში და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მეტიც, ის კონ-ფლიქტში შედის მომდევნო, საწინააღმდეგო ხასიათის ინფორმაციებთან;
- მათ კარგად იციან, რომ ადამიანი მიდრეკილია ინფორმაცია სარწმუნოდ და დამაჯერებლად მიიღოს მაშინ თუ მას ეს ინფორმაცია წარსულშიც ხშირად მოუსმენია. ის ნაკლებად იჯერებს ახალ არგუმენტებს;
- როდესაც ადამიანები ნაკლებად ინტერესდებიან ამა თუ იმ თემით, ამ თემის გარშემო გზავნილებს ისინი დამარწმუნებლად მიიღებენ თუ ეს გზავნილები ხშირად განმეორდება.

### მცდარი განცხადებები ხშირად დამაჯერებელია, თუ ის მტკიცე-ბულებებით არის გამყარებული და




მნიშვნელობა არ აქვს ყალბია თუ ნამდვილი: **სასამართლო პროცესის სიმულაციური კვლევები აჩვენებს, თვითმხილველი რომელიც უფრო მეტ დეტალებს, თუნდაც ტრივიალურს იტყოდა, უფრო მეტდა სანდო წყაროდ იყო აღქმული.**

17-20 აგვისტო

USAID

17-20 აგვისტო, 2020
ბათუმი

# ექსპერტები

https://civicidea.ge
https://virtualdemacademy.com



## თინათინ ხიდაშელი

სამოქალაქო იდეა
დამფუძნებელი და თავმჯდომარე

თინათინი, 2017 წლიდან სამოქალაქო იდეას დამფუძნებელი და ხელმძღვანელია, სადაც კოორდინაციას უწევს ჰიბრიდული ომის გამოწვევების კვლევებსა და მონიტორინგს. 2018 წელს მისი ხელმძღვანელობით დაფუძნდა ონლაინ საგანმანათლებლო პორტალი "დემოკრატიის ვირტუალური აკადემია". იგი გახლავთ ასევე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთერთი დამფუძნებელი და მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მას.

სხვადასხვა დროს, თინათინი გახლდათ საქართველოს პარლამენტის და თბილისის საკრებულოს წევრი, საკონსტიტუციო და ანტი-კორუფციული კომისიების წევრი. თინათინი გახლდათ საქართველოს პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი.

გახლდათ რედაქტორი პირველი ქართულენოვანი წიგნის ჰიბრიდული ომის შესახებ სახელწოდებით “ჰიბრიდული ომების ანატომია". წინგი გამოიცა 2019 წელს.



## ქრისტოფერ ვოკერი

ვიცე-პრეზიდენტი, სწავლებისა და ანალიზის მიმართულებით, NED

ქრისტოფერი, ხელმძღვანელობს NED-ის ანალიტიკურ საქმიანობას, რომელიც მოიცავს დემოკრატიული სწავლების საერთაშორისო ფორუმს, დემოკრატიული განვითარების ანალიზისა და დისკუსიების წამყვან ცენტრს.
სხვადასხვა დროს ბატონი ვოლკერი Freedom House-ის ვიცე პრეზიდენტი იყო სტრატეგიისა და ანალიზის მიმართულებით. მანამდე კი საქმიანობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტში და ევროპის ჟურნალისტთა ქსელში. იგი ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სტატიები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან გამოცემებშია დაბეჭდილი.
ლარი დეიმონდსა და მარკ პლატნერთან ერთად გახლდათ რედაქტორი წიგნისა სახელწოდებით “ავტორიტარიზმი გლობალურად მომძლავრდა: დემოკრატიის გამოწვევები”. გამოიცა 2016 წელს.



## ტაუნო ჰონკ

ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის **(EEAS)** სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტი

ტაუნო ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურში სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტია. იგი მუშაობს სახელმწიფოთა შიდა საქმეებში უცხო ქვეყნების ჩარევისა და გავლენის საკითხებზე.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ევროკავშირის კომისიის ვიცე პრეზიდენტის კაბინეტში და სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელი იყო დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ევროკავშირის საქმიანობის კოორდინაციაზე. მანამდე ესტონეთის პრემიერ მინისტრისა და მთავრობის მრჩეველი იყო კომუნიკაციის სფეროში.

ტაუნო ესტონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობს ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკის შესახებ.



## მარტინა ჰრვოლოვა

აშშ საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრის (CIPE) ევროპისა და ევრაზიის პროგრამების ოფიცერი

მარტინა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრის (CIPE) ევროპისა და ევრაზიის პროგრამების ოფიცერია 2016 წლიდან.

მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებსა და ბაზრებზე გლობალური სტრატეგიული საფრთხეების, ეკონომიკური ძალაუფლების, კოროზიული კაპიტალის, კერძოს სამეწარმეო სექტორის ლიდერების და სხვა მსგავსი საკითხების კვლევა და შესწავლა.

2019 წლის დეკემბერში მარტინა, აშშ კონგრესის ჰელსინკის კომისიაში მოწმედ გამოვიდა დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებში რუსეთის ეკონომიკური აქტივობების თაობაზე.



## გვანცა აბდალაძე

პროფესორი,
სამოქალაქო იდეას ექსპერტი

გვანცა არის ისტორიის დოქტორი, პროფესორი.
2000 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

მონაწილეობა აქვს მიღებული აშშ და ევროკავშირის გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში. არის სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი, საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი და ტრენერი.

ინტერესის სფეროები: საერთაშორისო პოლიტიკა; უსაფრთხოება და მშვიდობის მშენებლობა; რბილი ძალა და დეზინფორმაცია.




## სოფო გელავა

„მედიის განვითარების ფონდი“
მკვლევარი

სოფო „მედიის განვითარების ფონდის“ მკვლევარია 2016 წლიდან. ის მედიაწიგნიერების პროგრამების კოორდინატორია, ასევე ხელმძღვანელობს მედიაწიგნიერების ლაბორატორიის რეგიონულ ქსელს. სოფო ასევე არის ფაქტების გადამოწმების პლატფორმა „მითების დეტექტორის“ რედაქტორი.

სოფო წლებია ატარებს მედიაწიგნიერების ტრენინგებს სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, ჟურნალისტებისა და მასწავლებლებისთვის. მისი ფოკუსი ღია წყაროების მეშვეობით გამოძიებები, კერძოდ კი გეოლოკაცია, ყალბი ანგარიშების იდენტიფიცირება და ვიზუალური მანიპულაციების აღმოჩენა/გადამოწმებაა.



## გიორგი კანაშვილი

სამოქალაქო იდეას უფროსი მკვლევარი

გიორგიმ დაამთავრა გლაზგოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა – რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული სწავლებები; ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში – საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა. გიორგი ჯონ სმიტის სახელობის პროგრამის სტიპენდიანტია.

2011-2018 წლებში, გიორგი, ორგანიზაცია – კავკასიური სახლის, აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა.
გიორგი წლების განმავლობაში, აქტიურად იყო ჩართული ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-რუსულ სამშვიდობო დიალოგში.

გიორგი ავტორი და თანაავტორია მრავალი აკადემიური, ანალიტიკური და კვლევითი ნაშრომებისა.



## გიორგი მოლოდინი

სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის თავმჯდომარე

გიორგი მოლოდინს არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ასევე, წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა მედია საშუალებებში.

საჯარო სამსახურში მისი კარიერა 2012 წელს, საგარეო საქმეთა სამინისტროდან დაიწყო. 2017 წლამდე იგი საქართველოს იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროებში, აგრეთვე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში მრჩევლის პოზიციაზე მუშაობდა. იგი 2016 წლამდე თავდაცვის სამინისტროში სტრატკომის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2018 წლიდან კი არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი-საქართველოს“ დამფუძნებელია.

გიორგი მოლოდინი სახელმწიფო სამსახურში ისეთი პროექტების ავტორი და თანავტორია, როგორებიცაა „არმიქარდი“ და „მედიასწავლება – ღირსეული პასუხი“.



## ნინო ზურიაშვილი

სტუდია “მონიტორი”
დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

ნინო 2000 წლიდან დაკავებულია საგამოძიებო ჟურნალისტიკით. 2000-2004 წლებში მუშაობდა “რუსთავი 2”-ის გადაცემა “60 წუთში” გამომძიებელ ჟურნალისტად. ხოლო 2005 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია სტუდია “მონიტორის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ნინოს ჟურნალისტური გამოძიებებიდან ბევრს მოპოვებული აქვს ჯილდოები. მათ შორის აღსანიშნავია, 2002 წელს აშშ-ს ორგანიზაცია “გამომძიებელი რეპორტიორები და და რედაქტორების” საერთაშორისო პრიზი “განსაკუთრებული აღიარება”. ჟურნალისტურ გამოძიებაში გამოაშკარავებული იყო საქართველოს რკინიგზაში გამოვლენილი კორუფციული სქემები. ასევე მოპოვებული აქვს ჯიპა-ფრიდმანის პრიზი ორჯერ



## ნანა ბიგანიშვილი

საგამოძიებო „სტუდია მონიტორის”
რედაქტორი

ნანა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარეა. 2002 წელს საგამოძიებო ჟურნალისტიკის სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გაზეთში “ახალ ვერსია”. 2003 წლიდან სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2”- ის გადაცემის “60 წუთი” ჟურნალისტია. 2006 – 2007 წელს მუშაობდა გადაცემაში “ბიზნესკურიერი“ ჟურნალისტად. 2005 წლიდან დღემდე არის “სტუდია მონიტორის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.

ნანას საგამოძიებო ჟურნალისტიკაში საუკეთესო საგამოძიებო ფილმისთვის მიღებული აქვს ჯიპა -ფრიდმანის პრიზი 2012 და 2015 წლებში. ასევე ევროკავშირის პრიზი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში - 2014 წელს.

17-20 აგვისტო, 2020
ბათუმი

# მონაწილეები

https://civicidea.ge
https://virtualdemacademy.com

# მონაწილეები

17-20 აგვისტო

1.
ბიქოშვილი ეთო - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
2.
დოლიძე ავთო - DVV INTERNATIONAL
3.
ღვინდაძე ალექსანდრე - მედია პლატფორმა "ამბებს მიღმა"
4.
ცხვედაძე ინა - პალიტრა მედია ჰოლდინგი
5.
ჯავახიშვილი ლელა - CSS-სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
6.
აკოფიანი ნანა- თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
7.
კურატიშვილი თამარ - EU NEIGHBOURS EAST
8.
მემანიშვილი მაგდა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაორისო უნივერსიტეტი
9.
ჩიტოშვილი მაია - დამოუკიდებელი ჟურნალისტი, გამოცდილება: „ალია“ და „კვირის პალიტრა“
10.
დვალიშვილი გიორგი - გორის სათემო რადიო "მოზაიკა"
11.
ალიევი შუქური - „სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრში“, MEDIA LITERACY AMBASSADORS
12.
ხუხია გიორგი - „MAESTRO“ BROADCASTING COMPANY
13.
ესაკია ანა - კავკასიის მედიის სკოლა

# მონაწილეები

17-20 აგვისტო

14.
ელიაშვილი ანა - კავკასიის უნივერსიტეტი
15.
ქობალია ნათია - დემოკრატიის ვირტუალური აკადემია
16.
გოგიჩაიშვილი ლელა - ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლებისა და განვითარების ცენტრი“ (CCED)
17.
შუბითიძე ნინო - სტუდია მონიტორი
18.
წვერავა ნინო - სტუდია მონიტორი
19.
ბერაძე ლილე - საინფორმაციო სააგენტო ქუთაისი პოსტი
20.
კვანტალიანი საბა - საქართველოს საჯარო მმართველობის ინსტიტუტი
21.
მოდებაძე იზაბელ - საგამოძიებო ჟურნალისტიკის სკოლა
22.
გორდელაძე მარიკა - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
23.
ახობაძე ზურა - კავკასიის უნივერსიტეტი
24.
ესაკია გვანცა - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
25.
ქათამიძე ციალა - ორგანიზაცია "მწვანე სექტორი"
26.
ჯინჭარაძე დავითი - ნიუ-იორკის უნივერსიტეტი (NYU), DEOCC PRESS (ბლოგერი)

# მონაწილეები

17-20 აგვისტო

27.
კაკაციძე თეონა - მედია სააგენტო "ასეა"
28.
ოქროპირიძე გიგი - ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, სეუ
29.
დავითულიანი თეკლა - GEORGIA TODAY, WHERE.GE
30.
ავაკოვა მარიამ - საინიციატივო ორგანიზაცია EMG
31.
გელდიაშვილი ბექა - თსსუ, სტუდენტი
32.
ბაჩილავა ნინო - დემოკრატიის ვირტუალური აკადემია
33.
უსენაშვილი მარიამი - სამოქალაქო იდეა კვლევითი მიმართულება

# ჩანაწერები

# ჩანაწერები

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world